F 75 N 1507

პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

სამშაბათი, 1 იანვარი, 1952 წ. № 1 (9161). ფასი 20 კაპ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგილოცავთ ახალ წელს ამხანაგებო!

ლენინ-სტალინის დიადი დროშით

დამთავრდა 1951 წელი — შრომისა და შემოქმედების, საბჭოთა ხალხის დიად გამარჯვებათა წელი. დადგა ახალი, 1952 წელი.

საბჭოთა ხალხი ახალ წელს ხვდება მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებებით, რომლებიც მან მოიპოვა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით. გასული წელი აღინიშნა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობით, კომუნიზმის დიად მშენებლობებზე სამუშაოთა ფართოდ გაჩაღებით, ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის განხორციელებაში ახალ წარმატებათა მოპოვებით. გასული წელი იყო ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძალების შემდგომი განმტკიცების, მასების მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი ზრდის, საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის ახალი აყვავების წელი.

ახალ, 1952 წელს ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მოიპოვებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში. აშენდება ახალი ფაბრიკები და ქარხნები, რკინიგზები და შახტები, გაყვანილ იქნება სარწყავი და სანაოსნო არხები, უფრო გამშვენიერდება და კეთილმოწყობილი გახდება ქალაქები და სოფლები, გადიდდება სამრეწველო პროდუქციის გამოშვება, შემდგომ ამაღლდება მოსავლიანობა საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში. ახალი წელი იქნება საბჭოთა ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების წელი.

დიდი წარმატებებით შეხვდნენ ახალ წელს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები. მრავალმა ფაბრიკამ და ქარხანამ ვადამდე გადაჭარბებით შეასრულა წლიური გეგმა. გადიდდა ფოლადის გამოდნობა. დაიწყო ნაგლინის გამოშვება. ამუშავდა ქუთაისის საავტომობილო ქარხანა; ჩვენი სამშობლოს გზებზე უკვე გამოჩნდა ქუთაისის მარკის ავტომობილი. გორის ბამბეულის კომბინატმა პირველი ქსოვილი მოგვცა. სერიოზული წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობაში. გაიზარდა მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი და მოსავალი. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით იქნა შესრულებული ყურძნის, ჩაის და სხვა უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამზადების სახელმწიფო დავალებანი. გასული წლის გამარჯვებათა დამაგვირგვინებელი ისტორიული მოვლენა იყო სტალინის სახელობის სამგორის სარწყავი სისტემის ზემო მაგისტრალური არხის დამთავრება და თბილისის წყალსაცავში მდინარე იორის წყლის გაშვება.

ქართველი ხალხი, საბჭოთა ხალხების დიადი სტალინური ოჯახის თანასწორუფლებიანი წევრი, მტკიცედ შემჭიდროებული ლენინ-სტალინის პარტიის, დიდი სტალინის გარშემო, მზად არის ახალ წელს სავსელი ენერგიით, ახალი ენთუზიაზმით იბრძოლოს პარტიისა და მთავრობის ყველა დავალების შესრულებისათვის, მორიგ გამარჯვებათა მოპოვებისათვის.

სიხარულით ხვდებიან ახალ წელს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები. ისინი სწრაფად ავითარებენ თავიანთ ეკონომიკას. გასულ წელს მრეწველობის ომამდელი დონე გადაჭარბებული იქნა პოლონეთში და უნგრეთში ორნახევარჯერ და უფრო მეტად, ბულგარეთში—ერთისამად, ჩეხოსლოვაკიაში—ერთნახევარჯერ და უფრო მეტად, რუმინეთში — ერთიორად და უფრო მეტად, ალბანეთში — ერთიოთხად და უფრო მეტად. დიდ წარმატებებს მიაღწია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ კაპიტალისტური სამყაროსაგან სრული ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, ჩინეთის ინდუსტრიალიზაციისა და კულტურის აღმავლობისათვის ბრძოლაში. წარმატებით ვითარდება მშვიდობიანი მშენებლობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. თუ გასული წელი კაპიტალისტური ქვეყნებისათვის წარმოადგენდა ეკონომიური დეგრადაციისა და კრიზისის შემდგომი გაფართოების, უმუშევრობის ზრდისა და კაპიტალისტური სისტემის საფუძვლების ახალ შერყევათა წელს, დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებისათვის გასული წელი იყო მათი ეკონომიკის შემდგომი ზრდა-გაფართოების, მშრომელთა კეთილდღეობის დონის განუხრელი ზრდის წელი.

საბჭოთა ქვეყნის ძლიერების განუხრელი აღმავლობა, უდიდესი წარმატებები კომუნიზმის მშენებლობაში, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სწრაფი წინსვლა სოციალიზმის გზაზე, მთელ მსოფლიოში მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალთა ზრდა ცოფსა ჰგვრის მთელი მსოფლიოს იმპერიალისტებს. ამერიკელ-ინგლისელმა იმპერიალისტებმა მალე დაივიწყეს, თუ რა შედეგი მოჰყვა ჰიტლერელ დამპყრობთა მიერ გაჩაღებულ მეორე მსოფლიო ომს. ისინი ახალი მსოფლიო ომისაკენ მიისწრაფვიან. უკვე წელიწადახევარია, რაც ამერიკელი ყაჩაღები დამპყრობლურ ომს ეწევიან კორეაში, ანადგურებენ კორეის ქალაქებსა და სოფლებს, ხოცავენ მშვიდობიან მოსახლეობას. იმპერიალისტები ცდილობენ გააფართოონ კორეის ომი, გადააქციონ იგი მსოფლიო ომად, მიაღწიონ მსოფლიო ბატონობას. მაგრამ ფუჭია მათი იცენება. თავისუფლებისმოყვარე კორეელი ხალხის გმირულმა მაგალითმა მთელ მსოფლიოს დაანახვა, რომ უძლეველია ხალხი, რომელიც იბრძვის სამართლიანი საქმისათვის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკი, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი, უფრო ძლიერია, ვიდრე იმპერიალიზმის ბანაკი. განმათავისუფლებელი ბრძოლები, რომლებიც სულ უფრო ფართო ხასიათს იღებს კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში, ნიადაგს აცლიან იმპერიალიზმის ბატონობას. ვერავითარი გაფთრება და ხრიკები ვერ უშველის ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტებს. თუ ისინი შეძლებენ ახალი ომი მოახვიონ თავს მსოფლიო ხალხებს, ამ ომში თავის აღსასრულს ჰპოვებს მთელი კაპიტალისტური სისტემა. დღეს მსოფლიოში უდიდესი ძალით გაისმის მშვიდობის დიდი მედროშის ამხანაგ სტალინის სიტყვები:

„განვლო კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების უშფოთველი ექსპლოატაციისა და ჩაგვრის ერამ.

დადგა ერა განმათავისუფლებელი რევოლუციებისა კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში, ერა ამ ქვეყნების პროლეტარიატის გამოღვიძებისა, ერა მისი ჰეგემონიისა...

იაკობინელებისადმი სიძულვილმა ვერ იხსნა ფეოდალიზმი დაღუპვისაგან. განა შეიძლება იმაში დაეჭვება, რომ ბოლშევიკებისადმი სიძულვილი ვერ იხსნის კაპიტალიზმს მისი გარდუვალი დაღუპვისაგან?

განვლო კაპიტალიზმის „სიმყარის“ ერამ და თან წაიღო ბურჟუაზიული წესწყობილების ურყევლობის ლეგენდა.

დადგა კაპიტალიზმის დამსხვრევის ერა“.

საბჭოთა კავშირის დიადი მაგალითი აღაფრთოვანებს მთელი მსოფლიოს მშრომელებს კაპიტალისტური მონობისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. საბჭოთა ხალხის მხარდამხარ, სოციალისტური მშენებლობის გზით წინ მიდიან ევროპისა და აზიის სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების ხალხები. თავისუფლებისა და დემოკრატიის დროშით, იმპერიალისტ-დამპყრობთა წინააღმდეგ იბრძვიან კორეისა და ვიეტნამის, მალაიისა და ინდონეზიის ხალხები. რვაას მილიონზე მეტი ადამიანი გაერთიანებულია სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკში. ამ ბანაკის გარშემო დარაზმული არიან კაპიტალისტური ქვეყნების მშვიდობისა და დემოკრატიის მომხრენი. რაც დრო გადის, სულ უფრო იზრდებიან, მტკიცდებიან და უძლეველნი ხდებიან სოციალიზმისა და დემოკრატიის ძალები. კიდევ უფრო გაიზრდებიან და განმტკიცდებიან ეს ძალები ახალ, 1952 წელს.

მტკიცედ, თავის ძალებში დარწმუნებული, მომავლის ნათელი რწმენით მიდის წინ ჩვენი ქვეყანა. კომუნიზმი აღარ არის შორეული მომავლის საქმე. საბჭოთა ადამიანების შრომითი ენთუზიაზმი, გმირობის პათოსით აღსავსე შემოქმედებითი შრომა უკვე ქმნის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რომელზეც აღიმართება კომუნიზმის დიადი შენობა. ამ შენობის გენიალური ხუროთმოძღვარია ჩვენი ბრძენი მასწავლებელი და ბელადი დიდი სტალინი.

დღეს, საახალწლო ზეიმისა და სიხარულის დღეს, საბჭოთა ხალხის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა აზრი და გრძნობა მიპყრობილია ჩვენი დიდი მოამაგის, ჩვენი ყველა გამარჯვებების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის დიდი სტალინისაკენ, იმ ადამიანისაკენ, ვის სახელსაც სასოებით წარმოთქვამენ ყველა ქვეყნის მშრომელები, ვისი სახელიც სიხარულისა და გამარჯვების სიმბოლოა. საბჭოთა ქვეყნის ადამიანებთან ერთად მთელი მსოფლიოს მშრომელები მრავალ ახალ წელს ულოცავენ და ჯანმრთელობას უსურვებენ დიდ სტალინს.

მოგილოცავთ ახალ წელს, ამხანაგებო!

ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

მას გაუმარჯოს

გიყვარდეს, მარად გაჯადოებდეს
დიდი სამშობლოს მთა-ბარი ვრცელი!..
დღეს კომუნიზმის ხარაჩოებზე
ხალისით დგება ახალი წელი.

თოვლს დაუფარავს ლურჯი ქედები,
მოდის ახალი, გვშორდება ძველი.
მოდის, მოუძღვის გუნდი მტრედების,
ეს წელიც იყოს მშვიდობის წელი!

ახალს გზას უთმობს ძველი, ჭარმაგი,
გამარჯვებებით მხრებდაზიდული,
ახლის დოვლათი იყოს ათმაგი,
ათჯერ უხვი და ათჯერ მდიდრული!

ჩვენებრ რომ ალხენთ წელი ახალი,
განა არიან ქვეყნად ცოტანი?!
მოდის ახალი, მტრისთვის ლახვარი,
მოყვრისთვის ყველგან ლხინის მომტანი.

ვადიდოთ, ვიყოთ ამ დღეთა ღირსი,
მზის გვახარებდეს ამობრწყინება,
მას გაუმარჯოს, დიდება ვისიც
ხალხს არასოდეს არ მოსწყინდება!

მას გაუმარჯოს, მშვიდობის მცველად,
ვისაც წინ მიაქვს დროშა მაღალი,
მრავალი წელი ვუსურვოთ ბელადს,
კიდევ მრავალი წელი ახალი!

ბრიგოლ აბაშიძე

ხრამის ჰიდროელექტროსადგურს თბილისიდან მართავენ

ამ დღეებში დამთავრდა მონტაჟი და საექსპლოატაციოდ გადაეცა დანადგარი, რომელიც საშუალებას იძლევა მოეწყოს ხრამის ჰიდროელექტროსადგურის მუშაობის ტელემექანიკური მართვა, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მისი ექსპლოატაციის პირობებს.

...ცენტრალური სადისპეტჩეროპუნქტის დიდ ნათელ დარბაზში განმანაწილებელ ფარზე დამონტაჟებულია მრავალი ხელსაწყო. ხელსაწყოების ისრები უჩვენებენ მომუშავე აგრეგატების მთელ სიმძლავრეს და თვითეულის ცალკე სიმძლავრეს, მათს დატვირთვას, ხრამჰესის ელექტროგადამცემი მაღალვოლტიანი ხაზის სხვადასხვა წერტილში სამუშაო ძაბვას და სხვ.

მორიგე დისპეტჩერი დააჭერს პატარა ღილს, და აქედან 100 კილომეტრზე, ხრამის ჰიდროელექტროსადგურში მუშაობას იწყებს მძლავრი აგრეგატი. ადამიანის ჩაურევლად ტექნიკური წესების ზუსტი შესაბამისობით ხორციელდება ჰიდროტურბინის ამუშავებისა და ენერგოსისტემაში მძლავრი გენერატორის ჩართვის რთული პროცედურა. ცენტრალური ფარის ხელსაწყოებზე შეიძლება დავინახოთ, თუ როგორ მატულობს მანქანის სიჩქარე, როგორ იზრდება სამუშაო ძაბვა, როგორ აღწევს მანქანა საჭირო სიმძლავრეს. შუქისა და ხმის სიგნალიზაცია დაუყოვნებლივ გვაუწყებს ოდნავ უწესივრობას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ხელსაწყოები ავტომატურად აჩერებენ უწესივრო აგრეგატების მუშაობას.

ტელემექანიკური მოწყობილობის დიდმა და მონტაჟი განახორციელა საქენერგოს ცენტრალური ლაბორატორიის კოლექტივმა (დირექტორი ამხ. ი. მამალაძე, მთავარი ინჟინერი ამხ. გ. თურქია) ხრამის ჰიდროელექტროსადგურის (დირექტორი ამხ. ლ. გაჩეჩილაძე, მთავარი ინჟინერი ამხ. დ. ტორჩინავა) მომსახურე პერსონალთან ერთად. ლაბორატორიის მუშაკთა ძალებით დამზადდა ბევრი რთული ხელსაწყო და დამხმარე მოწყობილობა. ტელემექანიკური მართვის აპარატურის მონტაჟსა და ათვისებაზე თავდადებული მუშაობის ნიმუშები გვიჩვენეს ცენტრალური ლაბორატორიის ინჟინრებმა ბ. ნეცვეტაევმა და გ. არზუმანოვმა, ოსტატებმა ტ. ბროძელმა, პ. ნაიდენმა, ზეინკალმა ბ. კალმიკოვმა, ხრამჰესის მუშაკებმა ვ. ფერაძემ, ა. ზადოეევმა და სხვებმა.

ხრამის ჰიდროელექტროსადგურის ტელემექანიკური მართვისათვის გამოყენებულ იქნა ხრამჰეს-თბილისის ელექტროგადაცემის მაღალვოლტიანი ხაზი. ამრიგად, ხრამჰესის მუშაობის ოპერატიული კონტროლი და რეგულირება თბილისის ცენტრალური სადისპეტჩერო პუნქტიდან ახლა დამოკიდებული არ არის კავშირგაბმულობის ხაზების მდგომარეობაზე, რომელთა უნაკლო მუშაობის დაცვა ძნელი იყო, განსაკუთრებით ზამთრის პირობებში.

ტელემექანიკური მართვისას გამორიცხულია შეცდომები, რომლებიც შეიძლება წამოჭრილიყო მუშაობის ძველი წესის დროს, როცა ცენტრალური სადისპეტჩერო პუნქტიდან ელექტროსადგურის მორიგე პერსონალს საჭირო განკარგულებები ტელეფონით გადაეცემოდა.

სადგურის მართვის ახალი მეთოდის უპირატესობა განსაკუთრებით მკაფიოდ იგრძნობა იმ შემთხვევებში, [illegible] საქართველოს მთელი ენერგოსისტემის საიმედო მუშაობისათვის საჭიროა ამა თუ იმ აგრეგატის დროზე ჩართვა ან ამორთვა. ამასთან, როგორც ცნობილია, დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველ დახოგილ წამს. ნაანგარიშევია, რომ ტელემექანიკური მართვა აგრეგატების ამუშავებისა და გამორთვის პროცესებს აჩქარებს სულ მცირე 10-12-ჯერ.

ხრამის ჰიდროელექტროსადგურის ტელემექანიკური მართვის განხორციელებასთან ერთად საქენერგოს მუშაკები ამთავრებენ აპარატურის დადგმას, რომელიც ავტომატურად გადასცემს საქენერგოს სისტემის სხვა ელექტროსადგურების — ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის, სოხუმჰესის, აწჰესის, ფონჩჰესისა და ზაჰესის მუშაობის ძირითად მაჩვენებლებს. ზოგიერთი ამ სადგურთაგანი 300-400 კილომეტრ მანძილზე მდებარეობს თბილისის ცენტრალური სადისპეტჩერო პუნქტიდან.

უახლოესი 2-3 წლის მანძილზე ტელემექანიკურ მართვაზე იქნება გადაყვანილი საქენერგოს სისტემის ყველა ძირითადი ელექტროსადგური და ქვესადგური.

ტელემექანიკურ მართვაზე გადაყვანას წინ უძღვის ელექტროსადგურების ექსპლოატაციის ყველა პროცესის ავტომატიზაციის დიდი სამუშაო. უკვე წელს დამთავრდა რიონის ჰიდროელექტროსადგურის, ჩითახევჰესისა და ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის პირველი რიგის აგრეგატების სრული ავტომატიზაცია. (საქდესი).

გადაწყვეტილება

თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა

თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეებისა და წევრების შესახებ

თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დაშვებულ იქნან:

თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შესასრულებლად — **კაპანაძე** უშანგი თეიმურაზის-ძე,

თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისა და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობის შესასრულებლად — **ჭელიძე** ალექსანდრე გიორგის-ძე,

თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისა და სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობის შესასრულებლად — **ჯაფარიძე** ანასტასია მიხეილის ასული,

თბილისის საოლქო სასამართლოს წევრების მოვალეობის შესასრულებლად — **მაისურაძე** გაიოზ ივანეს-ძე, **სუხიშვილი** ქრისტეფორე აკაკის-ძე, **ნატროშვილი** სიდონია ისაკის ასული, **ღულუნიშვილი** ალექსანდრე არსენის-ძე, **ხარატიშვილი** ივანე იოსების-ძე, **ვართაპეტოვი** აშოთ ნიკიტას-ძე, **არავიაშვილი** ბარბარე იოსების ასული, **ლელაძე** ვახტანგ დავითის-ძე.

2. ეს გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს სესიას.

თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ი. ყუჯიაშვილი
თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი გ. საგინაშვილი

ქ. თბილისი, 1951 წლის 28 დეკემბერი.

აგარის შაქრის ქარხანამ შეასრულა შაქრის გამოშვების წლიური გეგმა

აგარის შაქრის ქარხანამ 27 დეკემბრისათვის 100,5 პროცენტით შეასრულა შაქრის გამოშვების წლიური გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით პარტიის ქარელის რაიკომის მდივანი ამხ. რთველიაშვილი და ქარხნის დირექტორი ამხ. ნანეიშვილი იტყობინებიან, რომ ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვას 30.000 ფუთი მაღალხარისხოვანი შაქარი.

ახალი წელი, ახალი გამარჯვებები

ახალი, 1952 წელი ახალ მიღწევებს მოუტანს საბჭოთა ხალხს, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს, სოციალიზმის საქმეს.

თვითეული ჩვენგანი არ დაიშურებს ძალღონეს საბჭოთა სამშობლოს კიდევ უფრო გასაძლიერებლად და ასაყვავებლად, მშვიდობის დასაცავად და განსამტკიცებლად.

თვითეული საბჭოთა მწერალი მადლობის გრძნობით მიმართავს დიდ შემოქმედს, დიდ გენიოსს, დიდ ბელადს სტალინს, რომელმაც მოგვცა უდიდესი შთაგონება და ყოველგვარი შესაძლებლობა შემოქმედებითი ნიჭის გამოვლინებისა და გაფურჩქვნისა.

ქართული საბჭოთა მწერლობა მომავალ წელს უფრო ენერგიულად იბრძოლებს ახალი სიტყვისათვის, ახალი დიდი მხატვრული ტილოების შექმნისათვის.

ამ დღეებში გამოვიდა ჩემი ახალი წიგნი, რომელშიც მოთავსებულია ლექსები სოციალისტურ მშენებლობაზე და დემოკრატიულ უნგრეთზე. საბლიტგამი აგრეთვე ბეჭდავს წიგნად ჩემს ლექსებს ბელადზე.

1952 წელს გამოვცემ ლექსების წიგნს სახალხო დემოკრატიული ქვეყნების შესახებ, სადაც მე, როგორც საბჭოთა დელეგაციის წევრი, გასულ წლებში ვიმოგზაურე.

მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი 1952 წელს დავასრულო ჩემი დიდი ხნის ნაანტრი შრომა „სიუჟეტი ბელადისა". მისთვის მაქვს შენახული ჩემი გულის, სიყვარულის და ენერგიის უმთავრესი ძალები.

გიორგი ლეონიძე

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარე

ვიბრძოლებთ მეგზი წარმგზებებისათვის

გასული, 1951 წელი თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდისათვის მნიშვნელოვან სპორტულ მიღწევათა წელი იყო. როგორც ცნობილია, „დინამოს" ფეხბურთელებმა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშებაში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს და სასახელოდ დაიცვეს ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსება. ამ გამარჯვებამ ცხადყო ქართველი ფეხბურთელების მაღალი კლასი.

ქართველმა ფეხბურთელებმა სახელი გაითქვეს ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთაც. გასულ წელს „დინამოს" ოსტატმა ფეხბურთელებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს 4 ამხანაგური შეხვედრა პოლონეთის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდებთან. შეხვედრების საერთო შედეგია 10 : 1 ჩვენს სასარგებლოდ.

ახალი წელი ახალ ამოცანებს სახავს ჩვენი სპორტსმენების წინაშე. საბჭოთა სპორტის განვითარებისათვის ბოლშევიკური პარტიის, დიდი სტალინის მამობრივი ზრუნვის პასუხად ვიბრძოლებთ უკეთესი მაჩვენებლების მოსაპოვებლად.

ა. ღოლოგერიძე

სპორტის დამსახურებული ოსტატი, „დინამოს" გუნდის კაპიტანი

გორელების ნობათი

1951 წელს ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ბევრი რამ გააკეთეს საგულისხმო და საშვილიშვილო, სასიხარულო და სასიქადულო, — ისეთი, მტერს რომ გულს მოუკლავს და მოძმეს გაახარებს.

აი თუნდაც გორი!

აქ 1951 წელს მდინარე მტკვარზე ახალი ხიდის აშენება დაიწყეს. ერთ წელიწადში გორელებმა ექვსი მილიონი მანეთის სამუშაო შეასრულეს.

ამავე მდინარეზე, ორივე მხარეს საყრდენ კედლებს აგებენ ძველი ხიდიდან ახალ ხიდამდე. თვითეული კედლის სიგრძე სამასი მეტრია. ეს სამუშაო ახალ წელს უნდა დამთავრდეს, ისე როგორც მთელი ხიდის მშენებლობა.

ამის შემდეგ უნდა ნახოთ გორი. აქ ჩამოსულნი რკინიგზის ახალი სადგურიდან სტალინის პროსპექტით მივლენ ისტორიულ სახლთან, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა დიდმა სტალინმა. პროსპექტი ისე სწორი და პირდაპირი იქნება, რომ ბელადის სახლი სადგურიდანაც ჩინებულად გამოჩნდება.

ორმოცდაორი მეტრი სიგანის ეს პროსპექტი გორის მთავარი მაგისტრალი გახდება.

უდიდესი აღფრთოვანებით იმუშავეს გორელებმა სტალინის სახელობის მუზეუმის მშენებლობაზე. ეს ნაგებობა (პროექტი ეკუთვნის არქიტექტორ არჩილ ქურდიანს) მშვენებას შეატებს ქალაქ გორს — თბილისის ოლქისა და მთელი საქართველოს ერთ-ერთ სამრეწველო ცენტრს. ამაყად აღმართულა შენობა თავისი შვიდსართულიანი კოშკით. ახლა მიმდინარეობს შენობის მოპირკეთება კურსების გრანიტით და ეკლარის ქვით.

სტალინის პროსპექტის ახლად მოწყობილი მოედნის წინ შენდება ადმინისტრაციული სახლი. შენობა მოპირკეთდება ვარდისფერი ქვით. ცენტრალურ ნაწილს დაამშვენებს კოლონადა, ხოლო კოლონადის წინ აღიმართება დიდი სტალინის ბრინჯაოს მონუმენტი.

ვინ არ იცის, რა სტუმრობა აქვს ქალაქ გორს? საიდან არ მოდიან აქ ბელადის აკვნის სანახავად!

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან აქეთკენ მოისწრაფვიან საბჭოთა ადამიანები, რათა საყვარელ სტალინს მისი ბავშვობის კერასთან მარადი ერთგულება შეჰფიცონ.

მოდიან, მოდიან, მოდიან!

მაგრამ მარტო საბჭოთა ადამიანები კი არა, გორს მრავალი სტუმარი ჰყავს საზღვარგარეთიდანაც. ვინ არიან ისინი?—გუშინდელი რიქშები და ახლა თავისუფალი ჩინეთის შვილები, დაუმორჩილებელი კორეელები, მგზნებარე დიმიტროვის ქვეყნის მკვიდრნი, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, პოლონეთის, უნგრეთის, ალბანეთის გამარჯვებული ხალხების წარმომადგენელნი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პროგრესული ადამიანები, ინგლისელი მუშები, იტალიელი დოკერები, სახელოვანი მარტინ ანდერსენ ნექსეს თანამემამულენი...

აქ, გორში, ბელადის სახლთან მოკრძალებული და ბედნიერი სახით იდგა რაიმონდა დიენი, ლეგენდარული ქალიშვილი საფრანგეთისა, მამაცი ქალიშვილი, რკინიგზის ლიანდაგზე რომ გაწვა და შეაჩერა მატარებელი, რომელსაც ვიეტნამელი ხალხის შესაფერი ნადავლი ჰქონდა...

ეს ნადავლი ბელადის ბრძანებით ეროვნულ ბანკს ჩაბარებულა. ეროვნულ ბანკს ეს ფული ეხმარებოდა ეროვნული ეკონომიკის აღდგენაში.

თბილისი ეგებება ახალ წელს

თბილისი ეგებება ახალ წელს! მიდის 1951 წლის უკანასკნელი საათები... მიმავალი 1951 წელი ანგარიშს ასწორებს, აჯამებს წლის განმავლობაში გაჩაღებული მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის შედეგებს. სასიხარულო ცნობები მოდის დედაქალაქის ფაბრიკა-ქარხნებიდან და ახალშენებლობებიდან: წლიური გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ასეულ ათასობით და მილიონობით მანეთის დაზგა და დანადგარი, ქსოვილი და ფეხსაცმელი, კვების პროდუქტები და შეკერილი ტანსაცმელი, აგებულია ბევრი ახალი სახლი, გაყვანილია მრავალი ახალი ქუჩა...

— გავაჯაროთ ჩვენი საშობლო საახალწლო შრომითი საჩუქრებით! — ამ აზრით მუშაობენ და ბრწყინვალე წარმატებებს აღწევენ თბილისელი მელითონეები და მანქანათმშენებლები, დაზგათმშენებლები და მქსოველები, მკერავები და მეფეხსაცმელეები... 1951 წელს ასობით ბრიგადა მონაწილეობდა სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის. ყოველდღიურად იზრდება ბრიგადებისა და საამქროების რიცხვი, რომელთაც კოლექტიური სტახანოვური შრომის საპატიო წოდება მოიპოვეს.

დედაქალაქის მოწინავე საწარმოთა შორის არის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა, რომელმაც სასაქონლო პროდუქციის გამოშვებმა წლიური გეგმა ვადაზე ათი დღით ადრე შეასრულა. გეგმის გადამეტებით შეკეთებიდან გამოშვებულია 34 ვაგონი და 2 ორთქლმავალი. ქარხნის 1.156 სტახანოველიდან ორი და მეტი წლის ნორმა შეასრულა ათასამდე მოწინავე ადამიანმა. საწარმო ცნობილია თავისი მდიდარი რეკონსტრუქციური ტრადიციებით. აქ ნახევარი საუკუნის წინათ თბილისის მუშებს ნათელი, დიადი მომავლისათვის საბრძოლველად აღაფრთოვანებდა და რაზმავდა დიდი სტალინი. ქარხნის სახარატო-მექანიკურ საამქროში დგას დაზგა, რომელზეც 1900 წელს მუშაობდა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე მ. ი. კალინინი. ამ ისტორიულ დაზგაზე მუშაობის საპატიო უფლება მხოლოდ იმ მუშას ენიჭება, რომელიც ყველაზე უკეთეს შედეგებს მოიპოვებს სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ახალი წლის წინ, 1951 წლის უკანასკნელ, დამამთავრებელ ცვლაში, ისე როგორც ამ 52 წლის წინათ, კვლავ აგუგუნდა მ. ი. კალინინის სახარატო დაზგა. მასზე მუშაობის საპატიო უფლება წილად ხვდა ქარხნის ერთ-ერთ საუკეთესო ადამიანს, სტახანოველ ხარატს ილია ჭუმბურიძეს.

— ახალ წელს მიხეილ ივანეს-ძე კალინინის დაზგაზე ვეგებები, — ღიმილით ამბობს ილია და მარჯვედ ახარატებს დეტალს. მისთვის ძვირფასია ყოველი საათი, ყოველი წუთი, რადგან სადაც არის ერთი წლის განმავლობაში მესამე წლიურ ნორმას შეასრულებს. მის გვერდით სახარატო, საბურღავ და სარანდავ დაზგებზე მუშაობენ და სამშობლოს საახალწლო საჩუქრებს უმზადებენ მღარავი სოლომონ ბაბინაშვილი, მბურღავი ოთარ ლურსმანაშვილი, მრანდავი დავით ჯალაღანია, ხარატი კონსტანტინე ვასილიევი. ამწყობმა ნიკოლოზ გავრიკოვმა ახალ წელს ახალ დაზგაზე მუშაობა დაიწყო. ეს არის სულ ახლახან მოსკოვის ქარხანა „კრასნი პროლეტარიდან“ მიღებული უახლესი ტიპის დაზგა — საბჭოთა დაზგათმშენებლობის ბრწყინვალე მიღწევა!

ახალ წელს საამაყო შრომითი წარმატებებით ხვდება საქართველოს დაზგათმშენებლობის სიამაყე — კიროვის სახელობის ქარხანა. 31 დეკემბრის უკანასკნელ საათებში კონვეიერიდან ჩამოდის წლიური გეგმის გადამეტებით გამოშვებული ახალი ტიპის დაზგები. თვითეულ დაზგაში განხორციელებულია ქარხნის სახელოვანი კოლექტივის დაუცხრომელი შემოქმედებითი შრომა.

საბჭოთა ადამიანები სტახანოვური შრომით წინ უსწრებენ დროს, გადაჭარბებით ასრულებენ გეგმას, აახლოებენ დიად მიზანს — კომუნიზმს! ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის სტახანოველმა მღარავმა ლევან გოქაძემ ომისშემდგომ ხუთწლედში 16 წლის ნორმა შეასრულა, ხოლო 1951 წელს 4 წლისა. იგი 1952 წელს ისე ხვდება, როგორც ძველ ნაცნობს. დღეს ლევანი 1966 წლის ანგარიშში მუშაობდა, ახალი სამეურნეო წლის აღსანიშნავად საახალწლო სტახანოვურ ვახტზე დადგა და იკისრა მალე 1967 წლის ანგარიშში გამოუშვას პროდუქცია. გოქაძის მეგობარს, მოწინავე ზეინკალს შალვა ომანიძეს ომისშემდგომ განვლილ 6 წელიწადში 18,5 წლის ნორმა აქვს შესრულებული. ქარხანაში 135 სტახანოველია, მათ შორის 1951 წელს 49 კაცმა ორ-ორი წლის ნორმა შეასრულა, ხოლო 8 კაცმა სამ-სამი. ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც დიდად გაუსწრეს წინ დროს.

ამას წინათ აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვას 200 ათას მეტრზე მეტი ქსოვილი... დღეს, დამამთავრებელ ცვლაში, მეაბრეშუმეებმა ნაოდ საქმედ აქციეს თავიანთი სიტყვა. ახალი წლის დადგომას ჯერ კიდევ რამდენიმე საათი აკლდა, როცა მათ გეგმის გადამეტებით უკვე ჰქონდათ მოქსოვილი 220 ათას მეტრზე მეტი ქსოვილი. მარტო უკანასკნელ სამ საათში მეაბრეშუმეებმა 5.300 მეტრამდე ქსოვილი მოქსოვეს. საღამოს, მეორე ცვლაში, რომელიც 24 საათზე მთავრდება, ფაბრიკის საუკეთესო ფიქარმა მაყვალა მოდებაძემ სამ დაზგაზე 50 მეტრამდე მაღალხარისხოვანი აბრეშუმის ზოლიანი საპერანგე მოქსოვა.

— სიხარულში, ბედნიერებაში, მშვიდობაში! — წარმოსთქვა სახელოვანმა მქსოველმა, და თავის მიერ მოქსოვილ აბრეშუმს გამარჯვებული ადამიანის სიამაყით, სიხარულით ანთებული თვალებით გადახედა.

საშობლო ეგებება ახალ წელს, თბილისი ეგებება ახალ წელს. ეს წელიც, ისე როგორც გასული წელი, ახალი დიადი წარმატებების, ახალი შრომითი დიდების წელი იქნება. საახალწლო ჩირაღდნები ბრწყინვალებას მატებენ ისედაც ლამაზ თბილისს. 1951 წელს ათობით ბინა აშენდა დედაქალაქში, კიდევ უფრო მეტი მშენებლობის პროცესშია. ეს არის სიმბოლო საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომისა. შენდება სახლები რუსთაველის პროსპექტზე და მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, მელიქიშვილისა და უნივერსიტეტის მაგისტრალურ ქუჩებზე, საბურთალოსა და ფიქრის გორაზე!..

გულითადი მადლობის გრძნობით, კეთილი სიტყვით იგონებენ თბილისელები საახალწლო მაგიდასთან დედაქალაქის სახელოვან მშენებლებს, იმათ, რომელთაც გაჭრეს თვალწარმტაცი მაგისტრალური ქუჩები და მოედნები, რომელთაც შექმნეს შესანიშნავი სახლები, რომელთაც ააგეს საუკეთესო ხიდები, რომელთაც გააშენეს აყვავებული პარკები და ბაღები.

თბილისი ეგებება ახალ წელს!

ვ. შავგულიძე

თბილისის წყალსაცავში ობელისკებიან წყალხასაშვებთან.

თქვენი ცხოვრების შესამკობად!

ბედნიერ მეკვლედ მოვიდა ივრის წყალი სამგორის ველზე.

სამგორის აყვავებას და ბედნიერ ცხოვრებას, მშენებელთა მარჯვენეს ქება-დიდებას, პირველად დახნულ ყამირზე აღმოცენებული ჯეჯილის დაპურებას უმღერის ტალღათა შრიალით მოსული ივრის წყალი.

თქვენი ცხოვრების შესამკობად, თქვენი შვილების და შვილიშვილების, მთელი მომავალი თაობების, ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი დიდი საბჭოთა სამშობლოს საბედნიეროდ მოედინება ზემო სამგორში მდინარე იორი, პირველო სამგორელო მკვიდრნო — უშანგი და გრიგოლ ჩადუნელებო, ალექსანდრე კაპანაძევ, ბაგრატ ჩაჩანიძევ, პავლე ნიკურაძის პატარებო...

სამგორში სიცოცხლის დამკვიდრებაზე დიდი ხანია ოცნებობდა ქართველი ხალხი. გულისტკივილით შეჰყურებდნენ წინაპრები ამ თვალუწვდენ გამცდარ მიწას და შორეულ მამა-პაპათა ნაომარ ადგილებს — გაუდაბნოებულ ჯეირნის ველს, ღვართქაფიან ლოჭინოს, გადატრუსულ ორხევს, ქარის სანავარდო გადმომა სართიჭალას, უსიცოცხლო არხიშენს.

ახლა ხალხის ოცნება სინამდვილედ ხდება, ხორცს ისხამს. სამგორის უჯიათი ბუნება ქედს იხრის სტალინური ეპოქის ძლევამოსილ შვილთა ნების წინაშე.

დიდი შრომა, გოლიათური ენერგია დასჭირდა სამგორში ივრის წყლის მოყვანას. სულ ოთხოიდე წლის წინათ მოვიდნენ აქ მშენებლები: მთები გაჭრეს, ტყეები დაანგრიეს, მიწა გადაბრუნეს, ზღვა სამუშაო შეასრულეს და გაამარჯვეს.

თქვენს სადიდებლად, თქვენს სახელთა უკვდავსაყოფად მოედინება არხში ივრის წყალი, სამგორელო მშენებლებო — არჩილ სახლთხუცესიშვილო, ნიკო მერაბიშვილო, ლევან ლომიძევ, ვლადიმერ კიკნაძევ, კირილე კიკნაველიძევ, ხარიტონ ქვათაძევ! თქვენს სადიდებლადაც საქართველოს გვირაბმშენებელთა სასიქადულო ადამიანებო, მუშებო და ინჟინერ-ტექნიკოსებო — ირაკლი ობოლაძევ, ლავრენტი გელაშვილო, აკაკი ცნობილაძევ, ვალერიან ვარაზაშვილო!

ახლა სამგორში ცივა, ყინავს. სამგორი ხომ თავისი უკიდურესობებით არის სახელგანთქმული. სიცხეც განსაკუთრებული იცის აქ ჯერჯერობით, სიცივეც. ზღვა და სარწყავი ქსელი, მომავალი ტყეები, ბაღები, ვენახები, ქარსაცავი ზოლები ბოლოს მოუღებენ ამ უკიდურესობებს. ამის საწინდარია ეს ზღვა, მრავალი კილომეტრის სიგრძე-სიგანით რომ ჩაწოლილა მთებითა და სერებით შემოზღუდულ ტაფობში და უდარდელად ათამაშებს თავის სუფთა ტალღებს.

შორს, დაცემულ ველზე, ჯერ კიდევ შარშან უკაცრიელსა და უდაბნოს მსგავსზე, ბუხრებიდან კვამლი ამოდის. იქ ახალი სოფელია, ახალი ცხოვრება დაიწყეს საქართველოს რაიონებიდან სამგორში ჩამოსახლებულმა კოლმეურნეებმა. ისინი უკვე შესდგომიან მზადებას ვენახების გასაშენებლად, ქუჩების გასწვრივ და ეზოებში ხეხილი დაურგავთ.

გაზაფხულდება, და აყვავდება ეს ხეხილი ახალ სოფელში, ახალ მიწაზე. ვაზი ყურძენს დაისხამს, ჯეჯილი დაპურდება, სახალხო დოლათი გამრავლდება.

შენს სადღეგრძელოდ, ჩვენო დიდო, უძლეველო სამშობლოვ, თავისუფალი ცხოვრების აკვანო!

შენს სადიდებლად, ჩვენო მამავ, მშობლიურო დიდო სტალინ!

დ. ლომთაძე

საახალწლო შრომითი საჩუქრებით

ფოლადი და ნაგლინი გეგმის გადამეტებით

რუსთავი. (საკ. კორ.). ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს კოლექტივი საამაყო შრომითი მაჩვენებლებით ხვდება ახალ წელს. საამქრომ დეკემბრის საწარმოო დავალება ვადაზე ორი დღით ადრე შეასრულა. მეფოლადეებმა 57-ჯერ განახორციელეს ჩქარისსნული დნობა და გეგმის გადამეტებით ათასზე მეტი ტონა მაღალხარისხოვანი ფოლადი გამოადნეს. განსაკუთრებით დაწინაურდა ინჟინერ - მეტალურგ ი. რაზმაძის ცვლა, რომელმაც დეკემბრის გეგმა 107 პროცენტით გაანაღდა. მაღალნაყოფიერი შრომით თავი ისახელეს მეფოლადეებმა ზ. კვახაძემ, ა. ფანცულაიამ, ი. ლაზარიაშვილმა, მეარხე მ. გელაშვილმა, სამსხმელოამწეს მემანქანემ ლ. ნასყიდაშვილმა და სხვებმა.

გასული თვის გეგმა ვადამდე შეასრულა აგრეთვე ბლუმინგის საამქროს კოლექტივმა. სახელმოხვეჭილმა მგლინავებმა უფროსმა ოპერატორმა ი. მეტრეველმა, შემდუღებელმა გ. პავლუხკომ, ზეინკალთა ბრიგადის ბრიგადირმა გ. ხუციშვილმა, ოსტატმა ი. მარგოშვილმა, ბლუმსების გამწმენდთა ბრიგადის ბრიგადირმა შ. ქვრივიშვილმა და სხვებმა თავდადებული მუშაობით გეგმის გადამეტებით 500 ტონაზე მეტი ნაგლინი გამოუშვეს.

აითვისეს ახალი ტიპის დაზგები

თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა დეკემბერში აითვისა სამი ახალი ტიპის დაზგა, რომლებიც მძიმე მრეწველობისათვის არის განკუთვნილი. ამ ახლად ათვისებული დაზგების რამდენიმე ეგზემპლარი უკვე გამოუშვეს.

ახალი ტიპის დაზგების ათვისებაზე დიდი მუშაობა გასწია ქარხნის მთელმა კოლექტივმა. დაზგების ყველა ნაწილი და დეტალი ადგილობრივ იქნა დამზადებული.

სპეციალური სამუშაოები საუკეთესო ხარისხით შეასრულეს მექანიკურმა (უფროსი კ. ვარდანაშვილი), ამწყობმა (უფროსი ტ. სპიცენი) და საიარაღო (უფროსი ა. დათებოვი) საამქროებმა.

ზეინკლებს შორის განსაკუთრებით დაწინაურდნენ მ. სტრუნინი, ა. ბენდიანიშვილი, ი. არტემოვი, ი. ფირცხალავა, პ. პოლუნინი, შიგამჩარხავი ზ. გაბროშვილი, ხარატები ი. ტენიშევი, ი. უკოლოვი, მღარავი ტ. ლავროვი.

ქუთაისური ავტომობილების ახალი კოლონები

ქუთაისი. (საკ. კორ.). ახალი წლის შესახვედრად დაძაბული მუშაობა აქვთ გაჩაღებული ქუთაისელ მეავტომობილეებს. ამ დღეებში ქარხნის მცირე კონვეიერიდან გადმოვიდა ავტომობილის მეათასე ძრავი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი კომუნიზმის დიად სტალინურ მშენებლობებს გაეგზავნა.

ახალი სამეურნეო წლის წინ მეავტომობილეებმა ათვისეს მრავალი სახის ახალი დეტალი და დაწყებულია მათი სერიული გამოშვება. მარტო საიარაღო საამქრომ ამ უკანასკნელ ხანში 13 სახის ახალი რთული იარაღისა და სამარჯვის წარმოება ათვისა.

1952 წელს მეავტომობილეებმა უნდა უზრუნველყონ შასი, კაბინის და ავტომანქანის სხვა მნიშვნელოვანი ნაწილების ათვისება და სერიული წარმოება. ამ დავალების განსახორციელებლად ისინი სულ უფრო და უფრო სრულყოფენ თავიანთ პროფესიას, ერთიდან რამდენიმე დაზგის მომსახურებაზე გადადიან, ითვისებენ ახალი დეტალების წარმოებას — [illegible] ოსტატი გ. გუბანოვი [illegible] ქარხანაში ახალგაზრდა ხარატი გ. გუბანოვი რამდენიმე სპეციალობას ფლობს და დღეში 3 ნორმას ასრულებს, ხოლო ხარატი გ. კირთაძე ახლა ერთის ნაცვლად სამ დაზგაზე მუშაობს. სიჩქარის კოლოფის საამქროში სტახანოველი გ. სირბილაძე უკვე 1953 წლის ანგარიშში მუშაობს.

საახალწლოდ ქუთაისელი მეავტომობილეები ავტომანქანებისა და ძრავების ახალ დიდ პარტიას უგზავნიან მოსკოვის, სტალინგრადის, კიევისა და როსტოვის ავტოსატრანსპორტო კანტორებს.

ბულაჩაურის წყალი უახლოვდება თბილისს

გუშინ, 31 დეკემბერს, ბულაჩაურის წყალსადენის მშენებლებმა 1951 წლის დასასრული ახალი ბრწყინვალე საწარმოო გამარჯვებით აღნიშნეს. მათ პირნათლად შეასრულეს პირობა, წყლის გასაშვებად გაამზადეს მთელი მილსადენი ტრასის მეორე ეტაპზე და წყალი გაუშვეს ახალ უბნებზე, რითაც ბულაჩაურის წყალი 12,5 კილომეტრით დაუახლოვეს თბილისს.

ამრიგად თითქმის ნახევარი გზა თბილისამდე წყალს უკვე გამოვლილი აქვს. ტრასის ამ მონაკვეთზე მილსადენით წყლის გამოშვებისათვის მუშაობაში თავი ისახელა მესამე სამშენებლო უბნის კოლექტივმა, რომელსაც მიხეილ ფალავანდიშვილი ხელმძღვანელობს. განსაკუთრებით ისახელეს თავი უბნის იმ მუშებმა, რომლებსაც სამუშაოთა მწარმოებელი ინჟინერი დავით ხუხია მეთაურობს. მათ უზრუნველყვეს ტრასის ამ მონაკვეთზე მილების ჩაწყობა და მათი მაღალხარისხოვნად შეერთება, აგრეთვე დიუკერების მშენებლობის ვადამდე დამთავრება, მიუხედავად მეტად არახელსაყრელი ამინდისა.

ვალდებულება სასახელოდ შეასრულეს

სამტრედია. (საკ. კორ.). დაფნის გადამამუშავებელი კომბინატის კოლექტივმა სასახელოდ შეასრულა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება. აქ წლიური გეგმა 20 დეკემბრისათვის 113,2 პროცენტით გაანაღდეს, ამასთან პროდუქციის თვითღირებულება შეამცირეს 8,7 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება გაზარდეს 15 პროცენტით.

წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბეჯითად იმუშავეს კომბინატის სტახანოველმა მუშებმა ნ. ბერეკაშვილმა, ე. კოხრეიძემ, მ. ციცხვაიამ, ფ. მატელჩუკმა და სხვებმა.

წულუკიძელ მეაბრეშუმეთა წარმატება

წულუკიძე. (საკ. კორ.). წულუკიძის სახელობის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის კოლექტივმა ხამი აბრეშუმის ძაფის ამოხვევის წლიური გეგმა ვადამდე გაანაღდა, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 3.629 კილოგრამი ნაგრეხი ძაფი. ნაყოფიერი მუშაობით 1951 წელს დაზოგილია 3.669 კილოგრამი აბრეშუმის პარკი.

ფაბრიკის კოლექტივმა 11 თვეში მიიღო 185 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

საწარმოო დავალებების გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს იმ ბრიგადებმა, რომელთაც სტახანოველი მეაბრეშუმეები ილენე ადამია, ნ. ჭელიძე, მარიამ მიქაია და ს. ფირცხალავა ხელმძღვანელობენ. აღნიშნულმა ბრიგადებმა წლიური გეგმები 105,7—106,6 პროცენტით გაანაღდეს.

მშვიდობისა და ძლიერების წელი

1951 წელი კაცობრიობის ისტორიაში დარჩება როგორც მშვიდობისათვის ძლევამოსილი ბრძოლისა და დემოკრატიის ბანაკის ძლიერების განუხრელი აღმავლობის წელი.

საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები საამაყო მაჩვენებლებით ხვდებიან ახალ, 1952 წელს.

დიდია მშვიდობისა და დემოკრატიის ბურჯი — გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის მიღწევები. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა გმირულად დაძლია ომისშემდგომი პერიოდის სიძნელეები, ვადამდე—4 წელიწადსა და 3 თვეში მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა მეოთხე სტალინური ხუთწლედი, უდიდესი წარმატება მოიპოვა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში. ყოველი დღე საბჭოთა ხალხის ახალ გამარჯვებათა მაუწყებელია. მრეწველობის ძირითადი დარგების პროდუქციის გამოშვება შარშან ერთიორად გადიდდა ომამდელ 1940 წელთან შედარებით. ახლა საბჭოთა კავშირი, როგორც ამხანაგმა ლ. ბერიამ აღნიშნა, იმდენსავე ფოლადს აღნობს, რამდენსაც ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია და შვეიცია ერთად აღებული.

განუხრელ აღმავლობას განიცდის ჩვენი ქვეყნის სოციალისტური სოფლის მეურნეობა. იგი აღჭურვილია მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ტექნიკით. სულ უფრო იზრდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა და პროდუქტიულობა.

მშვიდობისმოყვარე საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს კომუნიზმის დიად მშენებლობათა გეგმებს და ამით მატერიალურ-ტექნიკურ საფუძვლებს ქმნის კომუნისტური საზოგადოებისათვის.

ახალ წელს დიდი მიღწევებით ხვდება 475-მილიონნიანი ჩინელი ხალხი. სწრაფად იზრდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამრეწველო წარმოება. გასულ წელს თუჯის გამოდნობა წინა წელთან შედარებით დაახლოებით ერთიორად გადიდდა, ხოლო ფოლადის წარმოება—65 პროცენტით. წლიური გეგმა ვადამდე დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ქაღალდის ფაბრიკებმა, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს წელს მიიღონ ზეგეგმითი დაგროვება, რომელიც 100 ათას ტონა ხორბლის ღირებულებას უდრის. ჩინელი გლეხები, რომლებმაც მიწის რეფორმის შედეგად საკმაო ფართობები მიიღეს, ზრდიან სოფლის მეურნეობის მოსავლიანობას. ბამბის მოსავალი გასულ წელს 10 პროცენტით აღემატებოდა ყველაზე უხვმოსავლიანი წლის მოსავალს.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მზარდი აღმავლობა, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის მშენებლობა, მშრომელთა ცხოვრების პირობებს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, კორეაში ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიული გეგმების ჩაფუშვა ჩინელ მოხალისეთა აქტიური მონაწილეობით, — ასეთია ჩინელი ხალხის საახალწლო საჩუქრები.

სოციალიზმის მშენებლობის საქმეში დიდი წარმატება მოიპოვეს ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებმა. პოლონეთში გასულ წლის პირველ ნახევარში სამრეწველო წარმოება 1938 წლის დონეს 168 პროცენტით აღემატებოდა, ჩეხოსლოვაკიაში—65 პროცენტით უნგრეთში მრეწველობა გასული წლის ათ თვეში წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 29,1 პროცენტით გადიდდა. ბულგარეთში სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა გასულ წელს ოთხჯერ აღემატებოდა 1939 წლის დონეს. ალბანეთის სამრეწველო წარმოება ომამდელ პერიოდთან შედარებით 370 პროცენტით გადიდდა.

დიდ წარმატებას აღწევს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც ხუთწლიანი გეგმის პირველი წლის მესამე კვარტალის გეგმა მრეწველობის საერთო პროდუქციის დარგში შარშან 104 პროცენტით შეასრულა. გასული წლის დეკემბერში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ განახორციელა ფასების ახალი, სათვალავით მეხუთე, შემცირება. სამრეწველო და სასურსათო საქონლის ფასები 10-50 პროცენტით შემცირდა. ეს მაშინ, როცა დასავლეთ გერმანიაში სასურსათო საქონლის ფასებმა მნიშვნელოვნად აიწია.

ახალ წელს გამარჯვების ღრმა რწმენით ხვდება მრავალტანჯული კორეელი ხალხი. კორეელი პატრიოტები ჩინელ მოხალისეთა ძმური დახმარებით გმირულად იგერიებენ უცხოელი ინტერვენტების ეერიშებს და დიდ ზარალს აყენებენ მტერს. ერთი წლის განმავლობაში კორეის სახალხო არმიამ და ჩინელმა მოხალისეებმა მოკლეს, დაჭრეს ან ტყვედ წამოიყვანეს მოწინააღმდეგის 420 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ამავე პერიოდში მათ ჩამოაგდეს ან დააზიანეს მტრის 2.400-ზე მეტი თვითმფრინავი, მოსპეს 756 ტანკი, ხელთ იგდეს ამერიკელთა 186 ტანკი და დიდძალი საჭურველი.

* * *

ახალი წელი კარგს არას უქადის იმპერიალისტებს, ახალი ომის გამჩაღებლებს.

გამალებულმა შეიარაღებამ და ომის ისტერიამ შარშან კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა შემდგომი გაღატაკება და საარსებო დონის დაცემა გამოიწვია. ოფიციალური, მეტად შემცირებული ცნობით ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის სამი მეოთხედი საარსებო მინიმუმის 65 პროცენტსაც ვერ იღებს, ხოლო 5,5 მილიონ ამერიკელს არავითარი შემოსავალი არა აქვს. იქ, დოლარების ქვეყანაში, სადაც მილიონერები და მილიარდერები ფუფუნებაში ცხოვრობენ, ათასობით ფერმიხდილი და ქანცმილეული დედა სანაგვე ყუთებში დაეძებს ნარჩენებს დამშეული ბავშვებისათვის. იქ, ამერიკის შეერთებულ შტატებში უმუშევრები იძულებული ხდებიან გაყიდონ მცირეწლოვანი ბავშვები.

სიღატაკე და ომის ისტერია, უუფლებობა და არაადამიანური ცხოვრება იწვევს ამერიკელ უბრალო ადამიანთა პროტესტების გაძლიერებას. ამერიკელი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები სულ უფრო გაბედულად იმღერებენ ხმას ახალი ომის გამჩაღებელთა პოლიტიკის წინააღმდეგ.

ამერიკელი ახალგაზრდებისათვის აუტანელი გახდა კორეაში გაჩაღებული აგრესიული ომი. ახლა ერთეული შემთხვევები როდია, როცა ამერიკელი ჯარისკაცები კორეის ფრონტზე მიმართავენ თვითდაჭრას. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი როზენბერგი იძულებული გახდა კორეიდან დაბრუნების შემდეგ განეცხადებინა: ვერასოდეს ვერ ვიფიქრებდი, რომ ამერიკის ჯარების მორალური მდგომარეობა კორეაში ასე კატასტროფულად დაეცემოდაო.

ამერიკელ იმპერიალისტებს კორეაში ვერ უშველა ტექნიკის სიჭარბემ. მათ მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში 176 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგეს მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვედ ჩავარდნილთა სახით. იმედგაცრუებული და შერცხვენილი ინტერვენტები ახლა ერთ ადგილს ტკეპნიან და ვეღარ ახერხებენ წინ წაწევას. ჩინელმა სახელმწიფო მოღვაწემ პინ ჯენმა სრულიად სამართლიანად განაცხადა: „აგრესიის წინააღმდეგ კორეის ომში მოპოვებული გამარჯვება მოწმობს, რომ ამერიკის იმპერიალიზმი მხოლოდ გარეგნულად მოჩანს ძლიერი, ნამდვილად კი ის სუსტია, უბრალო, „ქაღალდის ვეფხვია“, და მისი აგრესია შეიძლება ჩაფუშულ იქნას“.

ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტებს, რომლებსაც თავი ვერ გაურთმევიათ შინაგანი წინააღმდეგობებისათვის, ალარ ძალუძთ სამარი ხმაურით და სამხედრო ავანტიურებით დააშინონ მშვიდობისმოყვარე ხალხები. მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში გაბედულად ებმებიან შორეული და ახლო აღმოსავლეთის კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების მშრომელები. ეროვნულ-განთავისუფლებელი მოძრაობა ახლა მოიცავს ტერიტორიას, რომლის მოსახლეობა 600 მილიონს აღემატება. უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ გმირულად იბრძვიან ვიეტნამისა და მალაიის მშრომელები. დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის დროშა აღმართული აქვთ ინდონეზიის, ფილიპინების, ბირმის მშრომელებს. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ირანისა და ეგვიპტის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

სულ უფრო მრავლდება ანრი მარტენის მსგავსი ადამიანების რიცხვი. ფრანგმა პატრიოტმა მარტენმა ხმა აიმაღლა მშვიდობის დასაცავად, გაიღაშქრა ფრანგი იმპერიალისტების წინააღმდეგ და სასამართლოში გაბედულად განაცხადა: თანახმა ვარ მოვკვდე საფრანგეთისათვის, მაგრამ არა ინდოჩინეთის ბანკისათვის! ვიეტნამელი მეშები ჩვენი ძმები არიან!

კაპიტალისტურ სამყაროში მრავლდებიან იმ მებაღის მსგავსი პატრიოტები, რომელმაც საფრანგეთში უხვად მოიყვანა „მშვიდობის ვაშლი“ — ვაშლი, რომლის წითელ კანზე გამოხატულია სიტყვები: „გაუმარჯოს მშვიდობას!“

მსოფლიოს ყველა კუთხეში მილიონობით კეთილი ნების ადამიანები მშვიდობის დროშის ქვეშ დგანან. ხალხს მშვიდობა სურს. ხალხის ამ სურვილის შესაბამისად მოქმედებს მშვიდობის მსოფლიო საბჭო, რომელიც მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს და მშრომელებს რაზმავს მშვიდობის დასაცავად. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ 600 მილიონამდე კაცმა მოაწერა ხელი.

ამერიკელ იმპერიალისტებს, რომლებმაც ასი მილიონი დოლარი გადადეს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ დივერსიული მოქმედებისა და ამ ქვეყნებისადმი მტრულად განწყობილი ელემენტების დასაფინანსებლად, დოლარებით როდი შეუძლიათ ისტორიის მსვლელობის შეჩერება.

ჩვენ ვცხოვრობთ მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის ძლიერების განუხრელი აღმავლობის ეპოქაში. ყოველი ახალი წელი აახლოებს იმპერიალიზმის აღსასრულს, ყველა გზა კომუნიზმისაკენ მიდის.

მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის უძლეველობის საწინდარია ის, რომ ამ ბანაკის ავანგარდში დგას დიდი საბჭოთა კავშირი. სოციალიზმისა და დემოკრატიის ძალთა გამარჯვების საწინდარია ის, რომ ამ ძალების საქმიანობას წარმართავს დიდი სტალინი.

აკ. ჩავლეიშვილი

სახალხო დემოკრატიის ქვეყნები თვალსაჩინო მიღწევებით ხვდებიან ახალ წელს

1952 წლის მიჯნაზე

ბუდაპეშტი, 30 დეკემბერი. (საკადესი). უნგრელი ხალხი შვიდობიანი შემოქმედებითი შრომით მოპოვებული ახალი წარმატებებით ეგებება 1952 წელს. უნგრეთში 1951 წლის მანძილზე ახალი საწარმოები და საამქროები გაჩნდა. პირველი სხმული გამოუშვა სტალინის სახელობის მეტალურგიულმა კომბინატმა — სოციალიზმის უდიდესმა მშენებლობამ უნგრეთში. პირველი დენი მისცა მრეწველობას ინოტის 7 ნოემბრის სახელობის ელექტროსადგურმა. მწყობრში ჩადგა მატიას რაკოშის სახელობის კომბინატის ახალი მილსაგლინავი ქარხანა და ბევრი სხვა საწარმო, ორი რკინიგზა, აშენდა უნგრეთის განთავისუფლების შემდეგ მეათე ხიდი დუნაიზე, დაიწყო ბუდაპეშტის მეტროპოლიტენის გვირაბების გაყვანა, შენდება სარწყავი სისტემა ხორტობადის ველში, აგრეთვე ახალი ელექტროსადგურები და დიდი ქარხნები. ათვისებულია ბევრი ახალი სახის პროდუქცია, მათ შორის კომბაინების, ახალი მძლავრი სამგზავრო ორთქლმავლების, სხვადასხვა დაზგებისა და მანქანების წარმოება და სხვ.

სამრეწველო წარმოება მარტო მიმდინარე წლის ათ თვეში თითქმის 30 პროცენტით გადიდდა შარშანდელთან შედარებით.

გაუმჯობესდა მშრომელთა კეთილდღეობა. გაუქმდა სასურსათო საქონლის საბარათო სისტემა. მშრომელებმა მიიღეს ათასობით ახალი ბინა, ათასამდე ახალი კლუბი და კულტურის სახლი, ახალი საავადმყოფოები, სკოლები, ინსტიტუტები, დასასვენებელი სახლები, საბავშვო ბაღები, ბაგები.

უნგრეთის მინდვრებში მოწინავე საბჭოთა აგროტექნიკისა და საბჭოთა მინდვრების სტახანოველთა გამოცდილების გამოყენებით უნგრეთისათვის უმაგალითო მოსავალი მოვიდა. მშრომელი გლეხობის შემოსავალი წელიწადში 2.625 მილიონი ფორინტით გადიდდა, ხოლო იმ საქონლის ღირებულება, რაც გლეხებმა მარტო სოფლის სავაჭრო ქსელში შეიძინეს,—ერთიორად და უფრო მეტად.

მშრომელები ახალ წელს ეგებებიან აღფრთოვანებული შრომით მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის განსამტკიცებლად. ათობით საწარმო უკვე ხუთწლედის მესამე წლის ანგარიშში უშვებს პროდუქციას.

რუმინელი ხალხი ახალი წარმატებებით ეგებება 1952 წელს

ბუქარესტი, 30 დეკემბერი. (საკადესი). რუმინეთის მშრომელები სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში დიდი მიღწევებით ეგებებიან ახალ, 1952 წელს. მიმავალი წელი რუმინელი ხალხისათვის იყო სახალხო რესპუბლიკის არსებობის მეოთხე წელი და ხუთწლიანი გეგმის პირველი წელი.

ამ წელს მთელი მუშათა კლასი შრომობდა ლენინგრად „ვადამდე შეასრულოთ წლიური გეგმა!". 1.200-ზე მეტმა სამრეწველო საწარმომ და ახალმშენებლობამ ვადაზე ადრე შეასრულა წლიური დავალება. შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და მასალის მომჭირნეულ ხარჯვის გზით წლის განმავლობაში მრეწველობამ 3 მილიარდ ლეიზე მეტი დაუზოგა სახელმწიფოს.

დამთავრებული წელი რუმინეთისათვის იყო მრეწველობის დიდი ზრდისა და ახალი სახეობის რთული პროდუქციის ათვისების წელი. აშენდა ახალი და გაფართოვდა ძველი საწარმოები, მუშაობა დაიწყო ხუნედოარის მეტალურგიული კომბინატის მძლავრმა ბრძმედმა, მწყობრში ჩადგა ბუქარესტის პოლიგრაფიული კომბინატის პირველი რიგი. წელს ქალაქ სტალინის სატრაქტორო ქარხნის კონვეიერიდან ჩამოვიდა „კდ-35" მარკის პირველი მუხლუხა ტრაქტორი. ათვისებულია ამ ტრაქტორების სერიული გამოშვება.

შესანიშნავი წარმატებები მოიპოვა რუმინეთის სახალხო მეურნეობამაც. ძირითადი კულტურების მოსავალმა 51 პროცენტით გადააჭარბა 1950 წლის მოსავალს. შეიქმნა 50 ახალი მტს-ი. დიდად განვითარდა რუმინელი ხალხის კულტურა. 500 ათასმა კაცმა ისწავლა წერა-კითხვა და 1 მილიონზე მეტი მშრომელი შეუდგა სწავლას წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სკოლებში.

სოფლებში რამდენიმე ათასი ბიბლიოთეკა გაიხსნა.

საღამოებსა და საზეიმო კრებებზე, რომლებიც დღეს იმართება რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ოთხი წლისთავის აღსანიშნავად, მშრომელები გულითად მადლობას უხდიან ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრებისათვის საბჭოთა კავშირს და რუმინელი ხალხის დიდ მეგობარს ამხანაგ ი. ბ. სტალინს. ისინი პირობას აძლევენ რუმინეთის მუშათა პარტიას და თავიანთ მთავრობას, რომ მომავალ 1952 წელს ახალ წარმატებებს მოიპოვებენ.

ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა წარმატებანი 1951 წელს

პრაღა, 31 დეკემბერი. (საკადესი). 1951 წელმა შესანიშნავი წარმატებანი მოუტანა სახალხო-დემოკრატიულ ჩეხოსლოვაკიას.

ჩეხოსლოვაკია დიდი შრომითი გამარჯვებებით ეგებება ახალ წელს. ათასობით ქარხანამ, ფაბრიკამ, შახტმა ვადამდე შეასრულა გადიდებული წლიური დავალებანი.

ხუთწლიანი გეგმის გასული მესამე წლის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო თვისებურება მძიმე ინდუსტრიის სწრაფი ზრდა. წელს მწყობრში ჩადგა მეტალურგიული, მანქანათმშენებელი, ენერგეტიკული მრეწველობის ბევრი ახალი საწარმო. გაყვანილია ახალი რკინიგზები და გზატკეცილები. მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით ათვისეს ბევრი ახალი სახის სამრეწველო პროდუქციის წარმოება.

1951 წლის ცხრა თვის განმავლობაში ჩეხოსლოვაკიის მრეწველობამ 14,4 პროცენტით მეტი პროდუქცია გამოუშვა, ვიდრე 1950 წლის შესაბამის პერიოდში. 1951 წლის პირველ ნახევარში ჩეხოსლოვაკიაში დამზადდა 59,8 პროცენტით მეტი სამრეწველო ნაწარმი, ვიდრე ომამდელ დროს. ეს იმას ნიშნავს, რომ ხუთწლედის პირველ ნახევარში სამრეწველო წარმოების ზომამდელი დონე გადაჭარბებულ იქნა 50 პროცენტით და უფრო მეტად.

მნიშვნელოვნად ამაღლდა მშრომელთა ცხოვრების დონე, რაც გამოიხატა ხელფასის გადიდებით და სასურსათო და სამრეწველო საქონლის მოხმარების ზრდით. წელს პირველად მოხდა სახელმწიფო პრემიების მინიჭება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში თვალსაჩინო მიღწევებისათვის.

კიდევ უფრო შესანიშნავი პერსპექტივებია გადაშლილი ჩეხოსლოვაკიის ხალხის წინაშე მომავალ წელს. ამას წინათ ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ დამტკიცა სახალხო მეურნეობის განვითარების მომავალი წლის საკონტროლო ციფრები. 1952 წლის განმავლობაში ჩეხოსლოვაკიის სამრეწველო წარმოება 1951 წელთან შედარებით გადიდდება 21 პროცენტით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო წარმოება—15 პროცენტით.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 29 დეკემბერი. (საკადესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 29 დეკემბერს ვამოაქვეყნა ცნობა:

კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამქმედებით ფრონტის ცალკეულ უბნებზე ეწევიან თავდაცვითს ბრძოლებს, ამასთან ზარალს აყენებენ მოწინააღმდეგეს ცოცხალ ძალისა და ტექნიკის მხრივ.

აღმოსავლეთის ფრონტზე სახალხო არმიის ნაწილებმა მოსპეს მოწინააღმდეგის 2 ტანკი და ჯარისკაცთა ასეული.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 3 თვითმფრინავი ამითვან, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კორეის აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროების მშვიდობიანი დასახლებული პუნქტების დაბომბვაში.

ფხენიანი, 30 დეკემბერი. (საკადესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაცხადა, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამქმედებით ყველა ფრონტზე განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს და ზარალს აყენებდნენ ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენტებსა და ლისინმანელთა ჯარებს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 4 თვითმფრინავი იმ თვითმფრინავთაგან, რომლებიც გონსანიხა და ნამეხოს რაიონების დასახლებული პუნქტების დაბომბვაში იღებდნენ მონაწილეობას.

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 30 დეკემბერი. (საკადესი). ხინხუას საგენტოს კორესპონდენტმა გუშინ კესონიდან გადმოგვცა:

დღეს იმ ქვეკომიტეტის სხდომაზე, რომელიც განიხილავს კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების დღის წესრიგის მე-3 პუნქტს, მეორე მხარემ წარმოადგინა თავისი წინადადების გადასინჯული ვარიანტი. ამ წინადადებაში მეორე მხარე, — თუმცა მან უარი თქვა კორეის მთელი ტერიტორიის საჰაერო დაზვერვის მოთხოვნაზე და დათანხმდა, რომ დაზავების დროს შეიარაღებული პერსონალის მორიგეობის ფარგლების საკითხი მოლაპარაკების გზით უნდა გადაწყდეს,—მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც დაჟინებით იცავს თავის მოთხოვნას ჩაერიოს ჩვენი მხარის საშინაო საქმეებში კორეის ტერიტორიაზე აეროდრომების აღდგენისა და შენებლობის შეზღუდვის გზით.

ჩვენმა დელეგატმა აღნიშნა, რომ, თუმცა ეს გადასინჯული წინადადება წინგადადგმული უმნიშვნელო ნაბიჯია წინა წინადადებებთან შედარებით, მაგრამ მეორე მხარე ჯერ კიდევ მოითხოვს იმის უფლებას, რომ ჩაერიოს ჩვენი მხარის საშინაო საქმეების ყველაზე მნიშვნელოვან საკითხში, რომელიც შეეხება ნაგებობებს კორეაში, ამაზე კი ჩვენი მხარე ვერაფითარ შემთხვევაში ვერ დათანხმდება.

იმ ქვეკომიტეტის სხდომაზე, რომელიც განიხილავს დღის წესრიგის მე-4 პუნქტს, ვერაფითარ პროგრესს ვერ მიაღწიეს, რადგან მეორე მხარე კვლავ უარს ამბობდა მიეღო ორივე მხარის ყველა სამხედრო ტყვის მალე განთავისუფლებისა და რეპატრიაციის პრინციპი.

უნგრეთიდან 4 ამერიკელი მფრინავის გაძევების გამო

ბუდაპეშტი, 30 დეკემბერი. (საკადესი). გაზეთი „სობად ნეპი" მოწინავე სტატიაში, რომლის სათაურია „ამერიკის მუქარის გამო", წერს: ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ჩვენი საზღვრის დამრღვევი ოთხი ამერიკელი მფრინავის გასამართლებისა და უნგრეთიდან გაძევების პასუხად დახურა უნგრეთის საკონსულოები ნიუ-იორკსა და კლივლენდში. ამერიკის რადიოს გადაცემათა თანახმად, ამერიკის მთავრობა იმითაც იმუქრება, რომ იგი ნებას არ დართავს ამერიკელ მოქალაქეებს წამოვიდნენ უნგრეთში, აგრეთვე არ აწარმოებს ჩვენთან ვაჭრობას.

საზღვრის დამრღვევნი, წერს გაზეთი, გასამართლებულ იქნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კანონთა შესაბამისად. არავინ, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობაც კი, არ უარყოფს იმას, რომ უნგრეთის სასამართლოს განაჩენი კანონიერი და სამართლიანი იყო.

როცა შეერთებული შტატების მთავრობამ, განაგრძობს გაზეთი, გაიგო, რომ ჩვენ სამართალში ვაძლევთ ჰაერის მეკობრეებს, მან უნგრეთის მთავრობას გამოუგზავნა განსაკუთრებით მკვახე, მუქარით აღსავსე ნოტა. თავის სიმართლეში დარწმუნებულმა უნგრეთის მთავრობამ ამ ნოტაზე უპასუხა საზღვრის დამრღვევთა დაუყოვნებლივ სამართალში მიცემით. გამოტანილი განაჩენის სისწორესა და სამართლიანობას ყველაზე უკეთ ის ადასტურებს, რომ თვით ბრალდებულნი დაუყოვნებლივ დეთანხმნენ მას. განაჩენი იმდენად კანონიერი და სამართლიანი იყო, რომ შეერთებული შტატების მთავრობა იძულებული გახდა დაუყოვნებლივ შეეცვალა კილო. ამერიკის მისიის წარმომადგენელი უკვე საშობაო დღესასწაულების დღეებში გამოცხადა, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამქმედებით ყველა ფრონტზე განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს და ზარალს აყენებდნენ ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენტებსა და ლისინმანელთა ჯარებს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 4 თვითმფრინავი იმ თვითმფრინავთაგან, რომლებიც გონსანიხა და ნამეხოს რაიონების დასახლებული პუნქტების დაბომბვაში იღებდნენ მონაწილეობას.

საახალწლო ნაძვისხე თბილისის მასწავლებლის სახლში.

ფოტო ვ. გინზბურგისა

თბილისის საახალწლო ამბები

ნაძვისხე მასწავლებლის სახლში

თბილისის მასწავლებლის სახლის დარბაზში დიდი საახალწლო ნაძვისხე აღმართეს. ფერად-ფერადი საბავშვო სათამაშოები, ელექტროციცინათელები, თოჯინები, ბუმბულები ამშვენებენ მას.

გუშინ საღამოს ნაძვისხესთან ახალწლის შესახვედრად გამართულ ზეიმში 500-ზე მეტმა ბავშვმა, უმთავრესად მასწავლებელთა შვილებმა მოიყარეს თავი. ნაძვისხესთან ბავშვების საახალწლო ზეიმი მორიგეობით 3 იანვრამდე გაგრძელდება. ეს ნაძვისხე მომსახურებას გაუწევს 3.000-ზე მეტ ბავშვს.

ნაირ-ნაირი ქსოვილები კოლმეურნეებისათვის

საახალწლოდ ცეკავშირმა რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციულ ქსელში გაგზავნა 27 მილიონი მანეთის შალისა და ბამბის ნაირ-ნაირი ქსოვილები. ქსოვილთა ასორტიმენტი შერჩეულია იმის მიხედვით, თუ რა სახის ქსოვილებზე უფრო მეტი მოთხოვნილებაა ამა თუ იმ რაიონში.

განსაკუთრებით ბევრი საქონელია გაგზავნილი ქალაქებიდან და სამრეწველო ცენტრებიდან დაშორებულ სასოფლო კოოპერაციულ მაღაზიებში. ამასთან რაიონების სავაჭრო ქსელში ცეკავშირმა გაგზავნა 200.000 მანეთის ნაძვისხის მორთულობა.

საახალწლო საჩუქრები მეცხვარეებს

ჩვენი რესპუბლიკის მრავალი რაიონიდან დიდძალი ცხვარია გარეკილი შორეულ საზამთრო საძოვრებზე. ამ ცხვარს, ჩვენს სახალხო დოვლათს, თავდადებითა და სიყვარულით უვლიან მეცხვარე მწყემსები. მათთვის ცეკავშირმა ამას წინათ საზამთრო საძოვრებზე მოწყობილ სავაჭრო ქსელში გაგზავნა დიდძალი საქონელი — ქურქები, ჩექმები, ყურებიანი ქუდები, ნაბდები, ქურთუკი და საფეიქრო ნაწარმი.

მეჯოგეებისათვის გაგზავნილია აგრეთვე ფართო ასორტიმენტის პროდუქტები.

შეიძინეს ახალი ავტომობილები

დეკემბრის ბოლო რიცხვებში რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონების კოლმეურნეობებს გაეგზავნათ „ზის-150" და „გაზ-51" მარკის ახალი სატვირთო ავტომობილთა პარტიები. დიდი რაოდენობით შეიძინეს ახალი ავტომობილები აფხაზეთისა და აჭარის კოლმეურნეობებმა, აგრეთვე გურჯაანის, ლაგოდეხის, წალკის, ყვარლის, დმანისის, თიანეთის და რესპუბლიკის მთელი რიგი სხვა რაიონების კოლმეურნეობებმა.

სულ საახალწლოდ რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა შეიძინეს 250 სატვირთო მანქანა.

საახალწლო დეკეშები

დიდი დატვირთვით მუშაობდა გუშინ თბილისის ცენტრალური ტელეგრაფი. დეპეშის მისაღებ სარკმელთან მთელ დღეს განუწყვეტელი რიგი იყო. თბილისელები საახალწლოდ მისალოც დეპეშებს უგზავნიდნენ თავიანთ მახლობლებს და ნაცნობებს ჩვენი დიდი საბჭოთა სამშობლოს თითქმის ყველა კუთხეში.

ათეულ ათასობით საახალწლო მისალოცი დეპეშა გაიგზავნა გუშინ მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ბაქოში, ერევანში, მთელ რიგ სხვა ქალაქებში და აგრეთვე კომუნიზმის დიად მშენებლობებზე.





იანკი კორეაში

1.
ოოლ-სტრიტის მბრძანებელი
ათას ხრიკით, ათას ფანდით
კორეისკენ მიამგზავრებს
ამერიკელ ქუჩის ბანდიტს.

მხეცს გმირობა არ იტაცებს,
არც მუნდირის მწვანე ფერი,
გამდიდრებას ეფიცება
ოოლ-სტრიტის მბრძანებელი.

ელანდება ოქროს მთები
ლაჟვარდ ცისკენ წახულება,
უსასრულო დროსტარება,
კორეელი ახულები.

ზურმუხტი და მარგალიტი,
ფირუზი და საფირონი...
მაგრამ დახეთ როგორ მიდის
მისი ხაქმე საგმირონი.

2.
მოჭიკჭიკე, მოალერსე,
საოცნებო, თვალისჩინი
ეგებება ამერიკელს
კორეელი ქალიშვილი;

წინ უსვდება უცხო ხტუმარს
ყველა გზით და ყველა ქუჩით,
ეგებება საოცნელად
ავტომატის ცხელი ტუჩით.

3.
აი, ცეკვა ახლებური:
ღია ცის ქვეშ როკავს მგელი...
ეს ახალწლის ღამე არის
წლევანდელი, შარშანდელი.

ის ახალ წელს ეგებება
კორეელთა ახალ წესით;
ქვეყანაზე არ იქნება
დროსტარება უკეთესი.

4.
ამერიკულ სიყვარულით
ხავსე არის მისი გული,
კორეისკენ მოილტვოდა
ამგვარ გრძნობით გათანგული:

ამგვარ გრძნობით სულდგმულობდა;
ამგვარ გრძნობით ივსებოდა,
რომ საყვარელ არსებასთან
ჩახუტება ღირსებოდა.

5.
და ომობდა და იბრძოდა
პირზე დორბლებმორეული,
დადნა როგორც მოჩვენება,
როგორც ლანდი, ორეული.

ხარდაფებში დაძვრებოდა
გარეული, შორეული,
ხანატრელი არ ყოფილა
მახპინძლობა კორეული.

6.
ხანაც იდგა ხეივანში
ობოლ ფიქრთა გასართველად,
იდგა ჩუმად, თანამებრძოლ
მეგობართა დასათვლელად;

ვისაც ხორცი მიწაშია
ხოლო „სული"—ზევით, ცაში...
ხიკვდილამდე ეხსომება
ეს წარმტაცი პეიზაჟი.

7.
და ცხოვრობდა დალუპულთა,
დაკარგულთა „გმირულ" ხარჯზე,
მაგრამ ერთხელ როცა იგიც
გაიძახეს წინა ხაზზე,

როცა მოხვდა წინა ხაზზე,
სადაც ჰქუხდა მეხზე მეხი
იქ აღმოჩნდა, რომ ზედმეტი
ჰქონებოდა ერთი ფეხი.

8.
და დაბრუნდა ხამშობლოში...
ხეიბარი დარჩა მგელი;
ასე მედგრად ჩაატარა
წელიწადი შარშანდელი.

ახლა ბანდიტ ამერიკელს,
მხეცობა რომ უდევს თავში,
ცალი ფეხი ოჯახში აქვს
ცალი ფეხი კორეაში.

ნახატი ი. თბილელისა
ტექსტი ირ. მაღალაშვილისა

ღღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

პირველი გვერდი — მოწინავე—1952. ქვანახშირის მრეწველობის მინისტრის პატაკი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი ქვანახშირის ამოღების სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ. ხრამის ჰიდროელექტროსადგურს თბილისიდან მართავენ.

ი. ნონეშვილი—საახალწლო წერილი ბელადს.

მეორე გვერდი — ტ. ვლადიმიროვა—კომუნიზმის გზით. ს. დერბინი—მშვიდობის სადარაჯოზე. შ. დადიანი — ახალი წლის ღამეს („ნაპერწკლიდან" მე-5 და მე-7 სურათები). საქართველოს ქალაქებში.

მესამე გვერდი—ნ. ნოვიცკი—ახალ მშენებლობებზე. ი. ლეონიძე სიპაბუკე. მ. დავითაშვილი—პირველი ქორწილი. ლ. მუმლაძე—ძველი გაზეთების ფურცლებზე. გასული წელი, მომავალი წელი. („ზარია ვოსტოკას" ანკეტა).

მეოთხე გვერდი — დღიური—ნ. რატიანი — ზარბაზნები და მარგარინი. უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

კინოებში

1 იანვარს: რუსთაველის სახელობის, „ოქტომბერი", „კომკავშირელი", „ისანი"—მისამართი უცნობია; „სპარტაკი" — სკანდალი კლოშმერლში; „კოლმეურნე" — სიმღერა სიყვარულზე; „დიდუბე" — შუქი კოორდში; „კოლხიდა" — ვეფხვი აკბარი; „ამირანი", „თბილისი", 26 კომისრის სახელობის — უკანასკნელი ბანაკი.

2 იანვარს: რუსთაველის სახელობის, „ამირანი", „ოქტომბერი", „ისანი", 26 კომისრის სახელობის — სახიფათო რეისი; „კომკავშირელი", „სპარტაკი" — უკანასკნელი ბანაკი; „თბილისი"—მისამართი უცნობია.

თეატრებში

1 იანვარს: ოპერისა და ბალეტის—იოლანტა (მე-4 ან.); რუსთაველის სახელობის—თბილისელი ქალიშვილი (დილას და საღამოს); მარჯანიშვილის სახელობის—მარინე; გრიბოედოვის სახელობის—დირექტორი (58-ე ან.); სომხური დრამის — ოქროს ქალაქი (დილას), ძველი ავადმყოფობა (საღამოს); მუსიკალური კომედიის — საჩუქარი (დილას), ბრწყინვალე მომავალი (მე-14 ან. საღამოს).

2 იანვარს: ოპერისა და ბალეტის—დაუბეჭდავი სტუმრები (დილას), აბესალომ და ეთერი (მე-5 ან. საღამოს); მარჯანიშვილის სახელობის — მარინე (დილას), რევიზორი (საღამოს); გრიბოედოვის სახელობის — ქეა-მბრძანებელი (46-ე ან.); მოზარდ მაყურებელთა ქართული—ირმის წყარო (მე-20 ან. 12 ს. ძერჟინსკის სახელობის კლუბში).

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

2 იანვარს

6.25 — ქართული ხალხური სიმღერები. 7.30 — ქართული საოპერო მუსიკის კონცერტი. 11.45 — კონცერტი დოლუხანოვას შესრულებით. 17.15 — გლინკას პათეტიკური ტრიო. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 18.15 — საოპერო მუსიკის კონცერტი. 19.15 — სიმფონიური მუსიკა. 20.30 — რადიოსადგურებით—გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, ქალაქის ქსელით — კონცერტი ალექსანდროვიჩის შესრულებით. 20.45 — ქართველ კომპოზიტორთა რომანსები. 21.00 — ლექცია კადრების ეკონომიური თვითგანვითარების დასახმარებლად: სახალხო მეურნეობის გეგმიანად გაძღოლა სოციალიზმის ეკონომიური კანონია: სოციალისტური დაგეგმვის ძირითადი პრინციპები. 21.30—ა. ბელიაშვილის მოთხრობა: „ძალა სიყვარულისა". 22.50 — ქართული ხალხური სიმღერები. 00.05 — ბელორუსული მუსიკის კონცერტი.

რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-31-84, სახოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტ ოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, ტაბლოიდ დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. ფფ 00102